# ლეონარდ დეკაპრელევიჩის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ძირითადი თარიღები

**1886 წ. 13(25) ივლისს** დაიბადა თბილისში რკინიგზელის ოჯახში.

**1898 წ.** შევიდა თბილისის მეორე გიმნაზიაში, მოსამზადებელ კლასში.

**1907 წ.** შემოდგომაზე მიემგზავრება გერმანიაში და იწყებს ლექციების მოსმენას მიუნხენის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე.

**1908—1912 წწ.** სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, რომელიც პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა.

**1912 წ.** ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს თბილისის ბოტანიკურ ბაღში.

**1913 წ.** მუშაობდა პრაქტიკანტად მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (ამჟამად ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემია).

**1914 წ.** იანვარში კვლავ ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს თბილისის ბოტანიკურ ბაღში, პარალელურად ის მიემგზავრება ხარკოვისა და ივანოვოს სასელექციო სადგურებში, სადაც ეცნობა სიმინდსა და შაქრის ჭარხალზე წარმოებულ სელექციურ მუშაობას.

**1916—1929 წწ.** მუშაობდა თბილისის ბოტანიკური ბაღის სელექციის განყოფილების გამგედ.

**1919 წ.** გამოქვეყნდა მისი პირველი ნაშრომი, მიძღვნილი ქართული სიმინდის ჯიშური შედგენილობის შესწავლისადმი.

**1920—1925 წწ.** ასწავლიდა თბილისის ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტზე.

**1925—1930 წწ.** რედაქტორობდა „თბილისის ბოტანიკური ბაღის ნაწერებს" (IV, V, VI, VII გამოშვებას).

**1925—1927 წწ.** მუშაობდა ამიერკავკასიის ბამბის კომიტეტის თესლის კონტროლის ლაბორატორიის გამგედ.

**1929 წ.** სელექციის განყოფილება გამოეყო თბილისის ბოტანიკურ ბაღს და შეიქმნა საქართველოს ცენტრალური სასელექციო სადგური, რომლის დირექტორად იქნა დანიშნული.

**1931—1932 წწ.** იყო ვ. ი. ლენინის სახ. საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის მევენახეობის ინსტიტუტის კონსულტანტი.

**1939—1940 წწ.** იყო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე, შეტანილ იქნა გამოფენის საპატიო წიგნში და დაჯილდოებულ იქნა დიდი ვერცხლის მედლით.

**1941 წ.** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის დარგში მიღწევებისათვის.

**1943 წლის 9 იანვრის** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

**1943 წ.** იყო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე და დაჯილდოებულ იქნა პატარა ოქროს მედლით.

**1944 წ. 22 თებერვალს** აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

**1946 წ.** დაჯილდოვდა მედლით „მამაცური შრომისათვის დიდ სამამულო ომში, 1941—1945 წწ".

**1946 წ.** დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით.

**1946 წ.** დაჯილდოვდა „საპატიო ნიშნის" ორდენით.

**1953 წ.** დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

**1955 წ.** იყო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე და დაჯილდოებულ იქნა მცირე ვერცხლის მედლით.

**1957—1959 წწ.** არჩეულ იქნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

**1966 წ.** დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

**1967 წ.** დაჯილდოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით.

**1974 წ** .დაჯილდოვდა ნ. ი. ვავილოვის სახელობის პრემიით.

**1977 წ.** დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით.

**1981 წ. 4** ნოემბერს გარდაიცვალა.

# ОСНОВНЫЕ ДАТЫ ЖИЗНИ И ДЕЯТЕЛЬНОСТИ Л. Л. ДЕКАПРЕЛЕВИЧА

**1886 г.** 13(25)-го июля родился в Тбилиси в семье железнодорожника.

**1898 г.** Поступил в подготовительный класс 2-ой Тбилисской гимназии.

**1907 г.** Едет в Германию и слушает лекции в Мюнхене, в политехническом институте на факультете сельского хозяйства.

**1908-1912 гг.** Учится в Московском университете, на отделения физико-математических и естественных наук, который оканчивает с дипломом первой степени.

**1912 г.** Возвращается в Грузию и начинает работать в Тбилисском ботаническом саду.

**1913 г.** Работает практикантом в Московском сельскохозяйственном институте (В данный момент он називается Академией сельскохозяйственных наук им. Тимирязева).

**1914 г.** В январе опять возвращается в Грузию и начинает работать в Тбилисском ботаническом саду, одновременно он выезжает в Харьков и Иванов а селекционные станции, где знакомится с работой селекционеров по выращиванию кукурузы и сахарной свеклы.

**1916-1929 гг.** Работал в Тбилисском ботаническом саду завотделением по селекционной работе.

**1919 г.** Опубликовал свой первый труд, который был посвящен изучению своиств сорта Грузинской кукурузы.

**1920-1925 гг.** Преподавал в Тбилисском политехническом институте им. В. И. Ленина на сельскохозяйственном факультете.

**1920-1930 гг.** Редактировал журнал «Записки Тбилисского ботанического сада» (Выпуск IV, V, VI, VII).

**1925-1927 гг.** Работал завлабораторией в комитете контроля по выращиванию семян хлопчатника.

**1929 г.** Селекционный отдел отделился от ботанического сада и организовал центральную селекционную станцию, директором которой он стал сам.

**1931-1932 гг.** Был консультатом в Институте виноградарства при Всесоюзной Академии сельскохозяйственных наук.

**1939-1940 гг.** Принимал участие во Всесоюзной сельскохозяйственной выставке, был занесен в почетную книгу гостей, и награжден Серебрянной медалью.

**1941** г. Награжден Почетной грамотой Президиума Верховного Совета Груз. ССР за достижения в народном хозяйстве и культурном строительстве.

**1943 г.** 9 января Указом Президиума Верхового Совета Груз. ССР удостоен Почетного звания Заслуженного деятеля науки Груз. ССР.

**1943 г.** Был участником Всесоюзной сельскохозяйственной выставки и награжден малой Золотой Медалью.

**1944 г. 22 февраля** избран член-корроспондентом Акад. наук Груз. ССР.

**1946 г.** Награжден медалью «За доблестный труд в Великой Отечественной Войне 1941-1945 гг.»

**1946 г.** Награжден Орденом Трудового Красного Знамени.

**1946 г.** Награжден Орденом «Знак Почета».

**1953 г.** Награжден Орденом Ленина.

**1955 г.** Был участником Всесоюзной сельскохозяйственной Выставки и награжден малой серебрянной медалью.

**1957-1959 гг.** Избран действительным членом Академии сельскохозяйственных наук Груз. ССР.

**1966 г.** Награжден Орденом Ленина.

**1967 г.** Награжден Почетной грамотой Президиума Верховного Совета Груз. ССР, в связи с 80-летием со дня рождения.

**1974 г.** Награжден Премией им. Н. И. Вавилова.

**1977 г.** Награжден Орденом Дружбы Народов.

**1981 г.** 4 ноября скончался.